**ნინო ჩიხრაძე**

# საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**ხელმღვანელი: სოფო ჩქოფოია**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივნისი 2021

საავტორო უფლება © 2021 წელი, ნინო ჩიხრაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო ჩიხრაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე)**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას საჯარო მართვის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი**

**2021 წელი**

ავტორი: ნინო ჩიხრაძე

დასახელება: „საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე)“

ფაკულტეტი: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: საჯარო მართვის მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

ობიექტური, სამართლიანი არჩევნების ჩატარება ქვეყნის დემოკრატიის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს, ასეთი საარჩევნო კამპანიის წარმოება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც დემოკრატიის აღმავლობის გზაზე მყოფი სახელმწიფოსთვის.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ის გამოწვევები, რაც ერთგვარ პრობლემას ქმნის ქვეყნის ტრანსფორმირების პროცესებში. მნიშვნელოვანია ადრეული პოლიტიკური პროცესების ზეგავლენა თანამედროვეობაზე, დემოკრატიზმის საფუძვლები, საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები, პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში და მედიის, დამკვირვებლებისა და მოქალაქეთა ჩართულობა ამ პროცესში.

საინტერესოა საქართველოს მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკა საარჩევნო პროცესში, რომელიც უფრო და უფრო თვალშისაცემი და პრობლემური ხდება, რაც განპირობებულია მოქალაქეთა არასანდო დამოკიდებულებით არჩევნებში, როგორც პროცესის, ასევე შედეგებისადმი, რაც რათქმაუნდა მთავარი გამოწვევაა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ნაჩვენებია 1990 წლიდან-დღემდე სარჩევნო პროცესის ცვალებადობა, საზოგადოების ნდობის შემცირების მიზეზები და მისი გავლენა არჩევნების პროცესის გამჭვირვალობაზე. ნაშრომში მოყვანილია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და შედარებულია ქართულ რეალობასთან.

ნაშრომში მოცემული დასკვნები და თეორიები გამყარებულია მსოფლიო პოლიტოლოგების კვლევებისა და ანალიზის პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე.

# Abstract

Conducting objective, fair elections is a cornerstone of the country's democracy development, and conducting such an election campaign is important for Georgia as a country on the path to democracy.

The presented master's thesis discusses the role of the election campaign in the development of the country's democratic processes, the challenges that create a kind of problem in the country's transformation processes. The impact of early political processes on modernity, the foundations of democracy, the stages of the electoral system, the first democratic elections in Georgia and the involvement of the media, observers and citizens in this process are important. It is interesting to see the statistics of the involvement of Georgian citizens in the electoral process, which is becoming more and more noticeable and problematic, due to the unreliable attitude of citizens in the elections, both the process and the results, which is certainly the main challenge on building a democratic state. The variability of the electoral process from 1990 to the present is shown, Reasons for the decline of public confidence and its impact on the transparency of the election process. The paper presents the experience of foreign countries and compares it with the Georgian reality.

The findings and theories presented in the paper are supported by practical examples of research and analysis by world political scientists.

# შინაარსი:


შესავალი..... **Error! Bookmark not defined.**

თავი 1. დემოკრატიზაციის პროცესი: სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია და დემოკრატიული საზოგადოების თანამედროვე შესაძლებლობები ..... 10

1.1. დემოკრატიზაციის პროცესი და წინამორბედი რეჟიმის ტიპის გავლენა ტრანზიტის შესაძლო გზებზე..... 10

1.2. დემოკრატიის კონსოლიდაციის შესაძლებლობა, მისი თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები ..... 14

1.3. არჩევნების როლი დემოკრატიის პლურალისტურ თეორიაში ..... 17

თავი 2. დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები ..... 20

2.1. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები ..... 20

2.2. სამართლიანი და ობიექტური არჩევნები, დემოკრატიის განვითარების ქვაკუთხედი ..... 23

2.3. დამოუკიდებელი მედიის როლი და ფუნქცია არჩევნების დროს ..... 31

2.4. ფინანსური გამჭვირვალობა: პარტიათა და პოლიტიკურ სუბიექტთა დაფინანსების საკითხები ..... 34

2.5. დემოკრატიულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი საქართველოში, არსებული გამოწვევები..... 36

2.6. არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში (საქართველო პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინში)..... 42

დასკვნა ..... 46

გამოყენებული ლიტერატურა ..... 49

# შესავალი

**თემის აქტუალობა:** განსახილველი თემა მეტად აქტუალურია თანამედროვე საქართველოში, ვინაიდან ბოლო წლებში ჩატარებული არჩევნებით თუ ვიმსჯელებთ მოქალაქეთა აქტივობა შემცირებულია, რაც განპირობებულია მოსახლეობის უნდობლობით არჩევნებისადმი. ობიექტური და სამართლიანი არჩევნები კი ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი და ქვაკუთხედია. დღეს, შეიძლება ითქვას, ქვეყნის პოლიტიკური ბედი გადამწყვეტ ფაზაშია, სწორედ ამან განაპირობა თემის აქტუალობა. მნიშვნელოვანია, ეფექტური სამოქმედო პოლიტიკის წარმოება, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს, როგორც მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნებასა და გამყარებას, მეორეს მხრივ საქართველოს იმიჯის განმტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე.

არჩევნების პროცესი საინტერესო და აქტუალური იქნება მანამ, სანამ იარსებებს დემოკრატიის თეორია. ე.ი ეს პროცესი შეუქცევადი და ყოვლისმომცველია. მასში ჩართვა მოუწევს ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. იმის მიუხედავად, დააფიქსირებს თუ არა იგი საკუთარ პოზიციას, შედეგები მაინც იქონიებს გავლენას მისი, ქვეყნის ცხოვრებაზე.

საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დემოკრატიული საქართველოს პირველმა არჩევნებმა, რომელიც იყო ხალხის ნების უზენაესობის დაცვის სურვილით გადადგმული ქმედითი ნაბიჯი.

**კვლევის მიზანია,** შევისწავლოთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კერძოდ კი, განვიხილოთ, თუ რამდენად პასუხობს ჩვენი სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, მსოფლიო დემოკრატიის ფასეულობებს. არის თუ არა შერჩეული სწორი გზა და როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს პოლიტიკური რელობა იმ შუუქცევადი სვლებით, რომელსაც ახლა ახორციელებს.

**მეცნიერული სიახლე:** აქტუალურობასთან ერთად, გასათვალისწინებელია განსახილველი თემის მუდმივი პროგრესი და დროსთან შეთავსებადობა. ეს განაპირობებს ინტერესს და დაკვირვების სურვილს დაინტერესებულ პირთაგან. დღევანდელი საარჩევნო

კამპანიის როლი პოლიტიკურ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან დღეს საქართველოს, ისე როგორც არასდროს აქვს პრეტენზია დასავლეთთან ინტეგრაციის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოების, ხოლო ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებების დაცვა, სამართლიანი არჩევნები და ა.შ. ისევე, როგორც სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარება გარდაუვალი პირობაა, რაც რათქმაუნდა ახდენს გავლენას ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაშიც.

**კვლევის შედეგებიდან** გამომდინარე დავადგინოთ, დაცულია თუ არა საარჩევნო ხმის უფლება საქართველოში და ხელმძღვანელობენ თუ არა, როგორც კანდიდატები, ასევე ამომრჩევლები კეთილსინდისიერებითა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის ბედი წყდება.

ვინ შეიძლება მოვიყვანოთ, ანტიკური ისტორიიდან მოყოლებული, თნამედროვეობის ჩათვლით სახელმწიფოს საუკეთესო მმართველის მაგალითად? იქნება ეს დემოკრატი მმართველი თუ ხელდასმული დიქტატორი? მართვის რომელი ფორმაა საუკეთესო და არის თუ არა, მმართველთა პოპულარობა, მათ მიერ სახელმწიფოს მართვის სისწორის პროპორციული?! რამ განაპირობა მათში ხალხის უმრავლესობის ნდობის თავმოყრა და საბოლოოდ, იყო თუ არა თანხვედრაში მათი ნაბიჯები, ხალხის სურვილებთან? ეს არის კითხვები, რომელიც დაიბადა დემოკრატიის თეორიასთან ერთად.

ქარიზმა, ორატორული ნიჭი, საკუთარი ქვეყნის ისტორიის სიღრმისეული ცოდნა, აწმყოსთან ჰარმონია და მომავლის განჭვრეტა განაპირობებს საარჩევნო კამპანიის სწორად წარმართვას.

საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარების პროცესზე მნიშვნელოვანია, ხარისხიანი არჩევნები გულისხმობს დემოკრატიის არსებობის ერთ-ერთ პირობას სახელმწიფოში. ეს არის ხელისუფლების კონტროლის ერთგვარი მექანიზმი.

საქართველოში არჩევნების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებირივი აქტები განაპირობებს.

საინტერესოა სტატისტიკა საქართველოს მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით საარჩევნო პროცესში პირველი არჩევნებიდან დღემდე. მოქალაქეთა აქტივობა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია იმის, რამდენად ენდობა მოსახლეობა არჩევნების შედეგებს, რაც მის დემოკრატიულობასაც უსვამს ხაზს. არჩევნების სანდოობის გარანტი საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა იყოს: საჯაროობით, ანგარიშვალდებულებით, დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობითა და კანონის უზენაესობით მათ უნდა უზრუნველყონ ამომრჩეველთა უწყვეტი ნდობა. ამასთან, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მუდმივი ინფორმირება, ადაპტირება მსოფლიო სიახლეებთან და ამომრჩეველთა დარწმუნება თითოეული მათგანის ხმის საჭიროებასა და სიძლიერეში.

# თავი 1. დემოკრატიზაციის პროცესი: სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია და დემოკრატიული საზოგადოების თანამედროვე შესაძლებლობები

## 1.1.დემოკრატიზაციის პროცესი და წინამორბედი რეჟიმის ტიპის გავლენა ტრანზიტის შესაძლო გზებზე

დემოკრატიის მუდმივი განვითარება და უკეთესის ძიება დავის საკითხს არავისთვის წარმოადგენს. ყველა თანხმდება, რომ პროცესი შეუქცევადი, ყოვლისმომცველი და დროსთან შესაბამისი უნდა იყოს. ფაქტია, რომ ადრეული დემოკრატიის ხარისხი, თანამედროვესგან მკვეთრად განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი უცვლელი დარჩა.

თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოებს აქვთ ის საერთო ელემენტები, რომელიც დემოკრატიას ახასიათებს, ესენია: კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიის ინსტიტუციურ ჩარჩოებს ქმნის; მასში გაწერილი ადამიანის უფლებები; თანაბარი სამართლებრივი სტატუსი დემოკრატიული სახელმწიფოს ყველა მოქალაქისთვის; ხმის მიცემის, არჩევანის გაკეთების უფლება; უმრავლესობის მართვა (კონკრეტულ ზღვარამდე გაწერილი, დემოკრატია ხომ უმცირესობათა აზრის თავისუფლებას და ხშირ შემთხვევაში, გათვალისწინებასაც გულისხმობს);

„1970-იან წლებში წარმოქმნილი გლობალური დემოკრატიზაციის ტალღა ერთგვარ გლობალურ რეცესიად გარდაიქმნა“ 1970 წელს მსოფლიოში დაახლოებით 35 ელექტორალური დემოკრატია იყო. შემდეგი სამი ათწლეულის გან,ავლობაში ეს რიცხვი სტაბილურად იზრდებოდა და 2000 - იანი წლების დასაწყისისთვის 120 - მდე გაიზარდა. ეს რიცხვი ყველაზე სწრაფად 1989 – 1991 წლებში გაიზარდა, როცა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმები დაემხო და საბჭოთა კავშირი დაიშალა, რამაც რეგიონში დემოკრატიის ტალღა გამოიწვია. თუმცა 2000 - იანი წლებიდან ეს ტენდენცია შენელდა და დემოკრატიათა რიცხვმა კლება დაიწყო. ამავე დროს, ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნები, ჩინეთის მეთაურობით, მეტი თავდაჯერებითა და გამბედაობით გამოირჩევიან.[1] პრაქტიკა ვერ განხორციელდება, რომ არა მყარი, დასაბუთებული და შედეგზე ორიენტირებული თეორია. როგორც იმანუელ კანტი აღნიშნავდა: „შეუძლებელია რამეზე,

[1] Fukuyama F., Identity: Contemporary Identity Politics and the Struggle for Recognition, 2018 page 9.

როგორც აბსოლიტურ სიკეთეზე მითითება, გარდა კეთილი ნებისა - სწორედ ამაშია ზნეობრივი არჩევანის უნარი“. - მოქალაქეთა კეთილ ნებას მიანდეს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ბედი და დაიწყო არჩევნების ისტორია.

ევროპის ქვეყნებში დემოკრატიზაცია უკავშირდებოდა პოლიტიკური სისტემების ევოლუციას, რომლებიც მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ჯგუფებს ანიჭებდნენ უფლებებს. 1788 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რატიფიკაციისას, საზოგადოების პოლიტიკური უფლებების მქონე წევრებად მხოლოდ კერძო საკუთრების მქონე თეთრკანიანი მამაკაცები განიხილებოდნენ. სრულუფლებიან მოქალაქეთა წრე თანდათან იზრდებოდა და ეტაპობრივად მოიცვა თეთრკანიანი მამაკაცები საკუთრების გარეშე, შავკანიანები, ინდიელები და ქალები. ამ კუთხით, ლიბერალურმა ინდივიდუალიზმმა ეტაპობრივად შეარულა დემოკრატიზაციის დაპირება, თუმცა ამ დაპირების შესრულებამ კოლექტიური მიმართულებით ევოლუციასაც შეუწყო ხელი, რამაც, საბოლოო ჯამში, საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მოიტანა.[2]

ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი და მწერალი, აგრეთვე მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა უინსტონ ჩერჩილი თვლიდა, რომ „დემოკრატია ყველაზე საშინელი ფორმაა მმართველობის, მაგრამ უკეთესი არ არსებობს“[3]. თუმცა, ფაქტია, რომ დემოკრატიის სახელით წამყვანი სახელმწიფოები მსოფლიოში წესრიგის დამყარებას ცდილობენ.

აბრაამ ლინკოლნი თვლიდა, რომ დემოკრატია არის: „ხალხის მიერ, ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ხალხის ძალაუფლება“. მოცემული სამი განზომილება, შესაძლებელია გაგებულ იქნას შემდეგნაირად: ხალხის ძალაუფლება, სადაც:

- ხალხი წარმოადგენს სუვერენულ ძალაუფლებას, რომელიც ფლობს ძალაუფლებას, ან გასცემს მანდატს ძალაუფლების განსახორციელებლად და ნებისმიერი პირი, რომელიც ხელისუფლების სათავეში იმყოფება, პასუხისმგებელია ხალხის წინაშე;
- ხალხის მიერ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლება ხორციელდება ან არჩეული წარმომადგენლების მიერ, ან, უშუალოდ მოქალაქეთა მიერ;

[2] ფრენსის ფუკუიამა, იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის, 2018 გვ.110.
[3] https://cvendademokratia.wordpress.com/2017/01/11/უინსტონ-ჩერჩილი-დემოკრატ/

- ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლების განხორციელება ემსახურება ხალხის ინტერესებს, რაც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს.[4]

დემოკრატიის ირგვლივ შეხედულებები მრავალგვარია, რაც იწვევს საკითხისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას, თანამედროვე საზოგადოებაშიც კი. მართვის ამ ფორმაზე ვერ თანხმდებოდნენ პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და ლოგიკურიცაა, თუმცა, დემოკრატიის მუდმივი განვითარება და უკეთესის ძიება დავის საკითხს არავისთვის წარმოადგენს. ყველა თანხმდება, რომ პროცესი შეუქცევადი, ყოვლისმომცველი და დროსთან შესაბამისი უნდა იყოს. ფაქტია, რომ ადრეული დემოკრატიის ხარისხი, თანამედროვესგან მკვეთრად განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი უცვლელი დარჩა.

თუმცა, არსებობს მახასიათებლები, რომლებიც განურჩევლად ქვეყნისა და ისტორიისა, უნდა ახლდეს პროცესებს. თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოებს აქვთ ის საერთო ელემენტები, რომელიც დემოკრატიას ახასიათებს, ესენია: კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიის ინსტიტუციურ ჩარჩოებს ქმნის; მასში გაწერილი ადამიანის უფლებები; თანაბარი სამართლებრივი სტატუსი დემოკრატიული სახელმწიფოს ყველა მოქალაქისთვის; ხმის მიცემის, არჩევანის გაკეთების უფლება; უმრავლესობის მართვა (კონკრეტულ ზღვარამდე გაწერილი, დემოკრატია ხომ უმცირესობათა აზრის თავისუფლებას და ხშირ შემთხვევაში, გათვალისწინებასაც გულისხმობს).

დემოკრატიის ნიშან-თვისებებით, იკვეთება პირდაპირი, წარმომადგენლობითი, კლასიკური, დამცავი, ხელშემწყობი და სახალხო დემოკრატიები.

პირდაპირი დემოკრატია ხალხის უშუალო და მუდმივ ჩართულობას გულისხმობს; წარმომადგენლობითია, როდესაც ხალხი არჩევნების საშუალებით მონაწილეობს მართვაში; კლასიკური  დემოკრატია სახალხო მმართველობის პრინციპს ეფუძნება; დამცავი დემოკრატია მოქალაქეთათვის ყველაზე დიდ თავისუფლების მინიჭებას გულისხმობს; ხელშემწყობი ამაღლებს თანამონაწილეობის ხარისხს, მოითხოვს მეტ თავისუფლებას და პიროვნების ზრდასაც უწყობს ხელს; სახალხო დემოკრატია

[4] https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-1/part-1/unit-1/chapter-1/lesson-2/

საზოგადოებაში კლასთა შორის ძალაუფლების გადანაწილებას ანიჭებს უპირატესობას და ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული.[5]

წარმომადგენლობითი დემოკრატია, დემოკრატიის შეზღუდული და არაპირდაპირი ფორმაა. შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც მმართველობაში ხალხის მონაწილეობა შეწყვეტილია და ხანმოკლე და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება. წარმომადგენლობითი დემოკრატიის საერთო მახასიათებლები მოიცავს:

- არჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილება განისაზღვრება კონსტიტუციით, რომელიც ადგენს მთავრობის ძირითად კანონებს, პრინციპებსა და ჩარჩოებს.
- კონსტიტუციით შეიძლება ითვალისწინებდეს შეზღუდული პირდაპირი დემოკრატიის რამდენიმე ფორმას, მაგალითად - კენჭისყრის ინიციატივას.
- არჩეულ წარმომადგენლებს შეიძლება ასევე ქონდეთუფლებამოსილება აირჩიონ მთავრობის სხვა ლიდერები, მაგალითად - პრემიერ მინისტრი ან პრეზიდენტი.
- დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო.

წარმომადგენლობითი დემოკრატია მკვეთრად განსხვავდება ხელისუფლების ისეთი ფორმებისგან, როგორიცაა ტოტალიტარიზმი, ავტორიტარიზმი და ფაშიზმი, რაც ხალხს საშუალებას აძლევს არ აირჩიონ წარმომადგენლობა.[6]

წარმომადგენლობითი დემოკრატიისგან განსხვავებით, პირდაპირი დემოკრატია მმართველობის ისეთი სისტემაა, სადაც გადაწყვეტილებები ხალხის მიერ, პირდაპირი წესით მიიღება. მას ხშირად მოიხსენიებენ „ჭეშმარიტი დემოკრატიის“ სახელით და ხაზს უსვამენ, რომ ხალხი ასეთი მმართველობის პირობებში თავად იღებს გადაწყვეტილებას იმ კანონებისა და პოლიტიკის კურსების შესახებ, რომლითაც იმართება. პირდაპირი დემოკრატია ეწინააღმდეგება ისეთ პრაქტიკებს, როცა საბოლოო გადაწყვეტილებებს მხოლოდ საჯარო ინსტიტუციების წარმომადგენლები იღებენ. პირდაპირი დემოკრატიის მაგალითია ანტიკური საბერძნეთის ქალაქ - სახელმწიფოებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ახალი ინგლისის საქალაქო შეხვედრები. უფრო თანამედროვე

[5] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14307
[6] https://ja.seagrantsatlantic.org/representative-democracy-definition-pros-cons-4589561-10274

ფორმით პირდაპირი დემოკრატია ასოცირდება ისეთი მექანიზმების გამოყენებასთან როგორიცაა რეფერენდუმი, ვეტოს უფლება, პეტიციები და სხვა.

სხვადასხვა ქვეყანა დღეს პირდაპირი დემოკრატიის სხვადასხვა ფორმას მეტ-ნეკლებად იყენებს, რითაც საჯარო ინსტიტუციების მიერ წარმოებული პოლიტიკის გადაწყვეტილებებს დელიბერაციულ ხასიათს ანიჭებს.

პირდაპირი დემოკრატიის 3 დადებითი მხარე:

1. **სრული მთავრობის გამჭვირვალობა:** ეჭვგარეშეა, რომ დემოკრატიის არცერთი ფორმა არ უზრუნველყოს ხალხსა და მათ მთავრობას შორის გახსნილობისა და გამჭვირვალეობის უფრო მაღალ ხარისხს. მთავარ თემებზე მსჯელობები და დებატები ტარდება საზოგადოებაში. გარდა ამისა, საზოგადოების ყველა წარმატება ან წარუმატებლობა შეიძლება ხალხს მიენიჭოს - ანდა დაადანაშაულოს - ვიდრე, მთავრობამ.

2. **მეტი მთავრობის პასუხისმგებლობა:** უშუალო დემოკრატია ხალხს სთავაზობს პირდაპირ და უტყუარ ხმას მათი ხმის საშუალებით, პირდაპირი დემოკრატია მოითხოვს პასუხისმგებლობის დიდ დონეს მთავრობის მხრიდან. მთავრობას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ იგი არ იცოდა ან გაურკვეველი იყო ხალხის ნებაზე. პარტიზანული პოლიტიკური პარტიებისა და განსაკუთრებული ინტერესის ჯგუფების მხრიდან საკანონმდებლო პროცესში ჩარევა დიდწილად არის აღმოფხვრილი.

3. **დიდი მოქალაქეების თანამშრომლობა:** როგორც მინიმუმ, თეორიულად, ადამიანები უფრო ბედნიერად იცავენ იმ კანონებს, რომლებიც თვითონ ქმნიან. უფრო მეტიც, ადამიანებმა, რომლებმაც იციან, რომ მათი მოსაზრებები შეიცვლება, მათ უფრო მეტად სურთ მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების პროცესებში.[7]

## 1.2.დემოკრატიის კონსოლიდაციის შესაძლებლობა, მისი თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები

დემოკრატია გულისხმობს საშინაო თუ საგარეო კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარებას, მუდმივ დიალოგს ოპონენტებს შორის, აზრის გამოხატვის თავისუფლებას და განსხვავებული აზრის მქონე პირთა გაგებასა და მიღებას. დემოკრატიის დადებით მხარეს წარმოადგენს შემწყნარებლობა აზრის, სქესის, რელიგიის,

[7] http://dictionary.css.ge/content/direct-democracy

შეხედულების მიუხედავად. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქე თავს დაცულად გრძნობს.

რაც შეეხება უარყოფით გამოვლინებებს, პლატონი თვლიდა, რომ დემოკრატია მმართველობის მომხიბვლელი ფორმაა, მრავალფეროვანი და უწესრიგოდ სავსე, რომელიც ერთგვარ თანასწორობას ანიჭებს თანაბარსა და არათანაბარს. მისივე აზრით, დემოკრატიიდან მომდინარებს დიქტატურაც, რადგან ტირანიის მძიმე ფორმა, სწორედ უკიდურესი თავისუფლებიდან წარმოიქმნება. მართალიცაა, თუკი ხალხის უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ მართვას მათ მიერ არჩეული წარმომადგენელი საუკეთესოდ შეძლებს, არ არის შორს იმისგან, რომ შესაძლოა, განუსაზღვრელი ძალაუფლებაც მიანიჭონ და მმართველობის უწყინარი ფორმიდან დემოკრატიის საფარქვეშ, დიქტატურა წარმოიქმნას. ხშირად, მსგავსი პრეცედენტები საზოგადოების ცნობიერების მიღმა ხდება და მათი „აზროვნების პარალელურად“ ხორციელდება.

დემოკრატიული შემწყნარებლობით შესაძლოა ისარგებლონ ქვეყნის, როგორც შიდა, ასევე გარე მტრებმა, მოიძიონ მათ მოკავშირე და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდავი უფლება პროპაგანდისა და არასწორი პოლიტიკის გასატარებლად გამოიყენონ. ასევე დემოკრატიის კეთილგანწყობით სარგებლობენ ის პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგებნელი, რომელთაც ვიწრო ხდევა აქვთ მომავლისკენ და საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, სოციალურ და ემოციურ (ჩვენ შემთხვევაში, ხშირად ეს რელიგიაზე გადის) ფაქტორებზე მითითებით, ცდილობენ მათი მხარდაჭერის მოპოვებას. ხშირად, ამის საპასუხოდ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს საგრძნობლად ჩამორჩებიან და განვითარების ნაცვლად, შენელებულ დემოკრატიას იღებენ შედეგად.

დემოკრატიის მთავარ ნაკლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მიღებული გადაწყვეტილებების დაბალეფექტიანობა. ამის მიზეზი ხალხის არაკომპეტენტურობაა პოლიტიკაში. მოქალაქეები გადაწყვეტილებებს ხშირად ემოციურ და სოციალურ ფონზე იღებენ, მათი უმრავლესობისთვის, პოლიტიკური რეალობა მხოლოდ აწმყოა და ხშირ შემთხვევაში, შორსმჭვრეტელი გეგმა არ გააჩნიათ.

ის, თუ რა დადებით შედეგებს მოიტანს მართვის ეს ფორმა ქვეყნისთვის, მოქალაქეთა კეთილგონიერებასა და განათლებაზეა დამოკიდებული. ერთეულ

პოლიტიკოსთა ახირებებზე აყოლამ, ანდა, ერთმა გაყიდულმა ხმამაც კი შესაძლოა გლობალური პრობლემები შექმნას, რომ აღარაფერი ვთქვათ, ქვეყნის ხარისხისა და წინსვლის შეფერხებაზე.

ჰეროდოტეს დროიდან დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ხალხის მმართველობას. „მესამე ტალღაში“, სემანუელ ჰანტინგტონი განმარტავს: „ღია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის არსი და განუყოფელი პირობაა. არჩევნების შედეგად შექმნილი მთავრობები შეიძლება იყოს არაეფექტიანი, კორუმპირებული, წინდაუხედავი, უპასუხისმგებლო, ცალკეული ჯგუფების გავლენის ქვეშ მყოფი და არ შეეძლოს საზოგადო სიკეთისთვის აუცილებელი პოლიტიკის გატარება.

ეს მახასიათებლები მათ ხდის არასასურველს, მაგრამ არ ხდის არადემოკრატიულს. დემოკრატია ერთი საზოგადო სიკეთეა, მაგრამ არა ერთადერთი. დემოკრატიის კავშირი სხვა საზოგადო სიკეთეებსა დანაკლოვანებებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, თუ მას პოლიტიკური სისტემის სხვა თავისებურებებისგან გამოვარჩევთ“. [8]

დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია - არჩევითობა და მოკლევადიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი ანტიკური ეპოქიდან არსებობს, მეცნიერება არჩევნების შესახებ - პსეფოლოგია (ბერძნ. „psephos” - ნიშნავს კენჭს, რომელსაც დემოკრატიულ ათენში არჩევნების დროს აგდებდნენ საარჩევნო ურნაში) – XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იმკვიდრებს თავს. პსეფოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს არჩევნები და მისი როლი - საზოგადოების განვითარების პროცესში.[9]

დემოკრატიის უმთავრეს კომპონენტებს არჩევნები, პოლიტიკური უფლებები და ქვეყნის მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენს. მოქალაქეთა უფლება - აირჩიოს ხელისუფლება და მის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით განახორციელოს არჩეულმა წარმომადგენელმა უფლებამოსილება, მიეკუთვნება ადამიანის ძირითად უფლებაბსა და თავისუფლებებს.

გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად: „ ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საყოველთაო და

[8] პოლიტიკა და დემოკრატია, სემუელ ჰანტინგტონი, თბილისი 2020. გვ. 134
[9] http://www.electionreforms.ge/res/docs/827.pdf

თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველმყოფი სხვა წესით“.[10]

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი ის დროა, როდესაც ამომრჩეველს საშუალება ეძლევა, გააანალიზოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსთა და პარტიათა წარსული, გამოცდილება, ქვეყნისთვის მოტანილი სარგებელი და შეაფასოს მათ მიერ არჩეული გზის რაციონალურობა და პოპულარობა თანამედროვე სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში (იმის მიხედვით, თუ რა არის პრიორიტეტული ამომრჩევლისთვის). ამომრჩეველი წინდახედული და მისთვის მეტად მისაღები კანდიდატის არჩევის შემდგომ, საშუალებას აძლევს მის რჩეულს, მინიჭებული მანდატით განახორციელოს ძალაუფლება იმ მიზნისთვის, რაც უმრავლესობისთვის აღმოჩნდა პრიორიტეტული.

საარჩევნო კანონმდებლობა და მისი დაცვა საარჩევნო კამპანიის პირობებში, განსაზღვრავს დემოკრატიის დონეს ქვეყანაში. დემოკრატიულობის მკაფიო სტანდარტის შემოღება სასარგებლოა პოლიტიკური პოლემიკისთვისაც. ხშირად, არადემოკრატიული ხელისუფლებები აცხადებენ, რომ ზოგიერთი ლიბერალური ცვლილება, რომელიც მათ შემოიტანეს, თავისთავად, საკმარისია დემოკრატიისთვის. თუ შემოვიღებთ ნათელ სტანდარტს, დემოკრატიული ოპოზიციისათვის ეს გააადვილება ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ რა დამატებითი ან ზოგიერთი აუცილებელი ცვლილებებია განსახორციელებელი. ასეთი სტანდარტები განსაკუთრებით გამოსაყენებელია იმ პირობებში, ოდესაც ძველი არადემოკრატიული რეჟიმი დაეცა (ან-ეცემა) და ხელისუფლებაში გარდამავალი მთავრობაა.[11]

### 1.3.არჩევნების როლი დემოკრატიის პლურალისტურ თეორიაში

დემოკრატიის ფუნქციონირება წარმოადგენს პარტიული ლიდერების კონკურენტულ ბრძოლას ხელისუფლების სათავეში მოსახვედრად, ამომრჩეველთა ხმის უმრავლესობის საფუძველზე. დემოკრატიის ფუნქციონირებას მთელი რიგი პირობები

[10] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

[11] გ.ჟორჟოლიანი, თ.ბერეკაშვილი, მ.მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია: საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში, დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში, საავტორო უფლება ეკუთვნის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“, გვ 58.

განაპირობებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც, პროცესები არადემოკრატიული ხდება. XX საუკუნის მეორე ნახევარში, ჩამოყალიბდა დემოკრატიის ახალი თეორიები, ისინი ასახავდნენ ახალ რეალობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. დემოკრატიამ თვალსაჩინოდ დაამტკიცა სიცოცხლიუნარიანობა. დემოკრატიზმი ერთი მხრივ, სოციალური უთანასწორობის შერბილების, ხოლო მეორე მხრივ - პლურალიზმის გაძლიერებისა და მისი რეალიზაციის მექანიზმის შემუშავების გზით ვითარდებოდა.[12]

იმისდა მიუხედავად, თუ ვის ენიჭება პრიორიტეტი - პიროვნებას, სოციალური ჯგუფს ან ხალხს, გამოიყოფა დემოკრატიის ლიბერალური, ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური და პლურალისტური კონცეფციები.

ყველა კონცეფციას ერთი საერთო მახასიათებელი აქვს: მოქალაქეს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური ნება.

პლურალისტური დემოკრატიის თეორიის მომხრენი, უარყოფენსაზოგადოებაში ხალხის ერთიან ნებას, როგორც ხელისუფლების საქმიანობის საფუძველს. ამ თეორიის თანახმად, ხალხის ერთიანი ნება შეუძლებელია არსებობდეს იმიტომ რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანები ეყრდნობიან არა საზოგადოებრივ, არამედ საკუთარი, ინდივიდუალური სარგებლის პრინციპს. დემოკრატიის პლურალისტური თეორიები აღიარებს, რომ პოლიტიკის შემოქმედი პიროვნება და ხალხი კი არა, დაინტერესებული ჯგუფია. რადგან ჯგუფში ყალიბდება პოლიტიკური მოღვაწეობის ინტერესები.

პლურალისტური თეორიები მრავალგვარია, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს დაინტერესებული ჯგუფების აღიარება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცენტრალურ ელემენტად. პოლიტიკური პლურალიზმი ნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოების ჩართვას., რომელთაც სხვადასხვა პოლიტიკური მიზნები, იდეოლოგირური კონცეფციები გააჩნიათ და ერთმანეთს ებრძვიან ხელისუფლების მოსაპოვებლად.[13]

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) არის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსთა მიზანმიმართული, კოორდინირებული და გადაჭარბებული წარდგენა ამომრჩევლისთვის.

[12] მ.მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003, გვ 97.
[13] მ.მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003, გვ 98.

ამ პერიოდში აგიტატორები „ძერწავენ“, ქმნიან ისეთ „პროდუქტს“, რომლის „ყიდვასაც“ ამომრჩეველთა უმრავლესობა მოინდომებს. არა მხოლოდ ქართული, არამედ, მსოფლიო პრაქტიკაც მეტყველებს, რომ ეს პროცესი ცრუ დაპირებებთან, მოქალაქეთა მოტყუებასთან და მოსყიდვასთან არის ასოცირებული. იშვიათად, რომ კანდიდატი პატრიოტიზმით გულანთებული, გულწრფელი პოლიტიკოსი იყოს. მთავარია, ვინ უფრო ლამაზად მიაწოდებს დაპირებებს მოქალაქეებს და რამდენად ახლოს იქნება მისი მანიპულაციები ამომრჩეველთა მთავარ საზრუნავთან.

საარჩევნო პროგრამა ძლიერი ინსტრუმენტია პოტენციური მომხრეების და ამომრჩევლების მოსაზიდად, ვინაიდან, ეს არის დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად, ამიტომ, საარჩევნო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს პარტიის ხედვას იმ საზოგადოებაზე, რომლის შექმნასაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აპირებს, უნდა ასახავდეს საზოგადოების ფენების სხვადასხვა საჭიროებებს.[14]

წინასაარჩევნო კამპანია არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე იწყება და პოლიტიკურ პარტიებსა თუ საარჩევნო სუბიექტებს საშუალება ეძლევათ, გაწერილ დროში ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ კანდიდატებს, წინასაარჩევნო შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში.

გარდა მრავალი უფლებისა, რითაც წინასაარჩევნოდ სარგებლობს კანდიდატი, მას აკრძალვებიც საკმაოდ ბევრი აქვს, ესენია: კანონით განსაზღვრულ ადგილებში კამპანიის ჩატარების აკრძალვა; პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის, ძალადობის, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლის გაღვივების და კანონით განსაზღვრული სხვა აკრძალვების მოწოდებებს; აგრეთვე, აგიტაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებს: გენერალური აუდიტორი, მოსამართლე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და ორგანიზაცია, საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციები და კანონით დადგენილი სხვა გამონაკლისები.

[14] პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების გენდერმგრძნობელობა და ქალთა საჭიროებები, მედიის განვითარების ფონდი 2015, გვ. 79

წინასაარჩევნო კამპანიის პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში მეტად უცნაურია. ეს არ გულისხმობს დემოკრატიისკენ მიმავალი გზის ლოგიკურ გაგრძელებას, სინამდვილეში ეს არის რევოლუციით გამოააშკარავებული ლიდერის უპირობო მმართველობა, ანდა - „ძველის“ დასრულების სურვილით ნებისმიერი ახალი ძალის მიღება, პარტიის ნების გამტარებელი პრეზიდენტებით. ვიმედოვნებ, წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ კომპონენტს (კანდიდატების მიერ თანაბარ პირობებში ბრძოლა პირველობისთვის) ვაქცევთ მიზნად და შედეგი იქნება მეტად დემოკრატიული.

## თავი 2. დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები

### 2.1. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები

საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს საარჩევნო უფლება, რომელიც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით:

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.[15]

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მესამე მუხლში ვკითხულობთ:

„1. საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

2. ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

3. არავის აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება. საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.

4. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება

[15] იქვე გვ. 26

მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.“ [16]

1991 წლიდან საქართველომ განიცადა სეცესია, სამოქალაქო ომი, რეჟიმის ცვლილება და ახალი რუსული სამხედრო აგრესია. სირთულეებით აღსავსე იყო ქვეყნის დემოკრატიული განვითარებაც, თუმცა, ერთი რამ უცვლელი იყო: ქართული საზოგადოების სწრაფვა დასავლეთისკენ. NDI - ის მიერ ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ევროკავშირში და ნატო - ში ინტერგარციის მომხრეა. დასავლეთთან დაახლოების მხარდაჭერაზე გავლენა ვერ მოახერხა მოსკოვმაც, რომელმაც საქართველოს ევრო - ატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერება ძალის გამოყენებით სცადა.

ქართველებს 1991 წლის დამოუკიდებლობამ სუვერენიტეტთან ერთად, საბჭოთა პერიოდში დასავლეთთან გაწყვეტილი კავშირების განახლებისა და ევროპასთან ინტეგრაციის შესაძლებლობაც მოუტანა.

ევროპისკენ მიმავალ გზაზე, საქართველოს ბევრი სირთულე შხვდა. ნატო - ში და ევროკავშირში ინტეგრაციას, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გარდა, დასავლეთის პასიურობამაც შეუშალა ხელი.[17]

დემოკრატიის ამ სტანდარტის მისაღწევად, საქართველოს სახელმწიფოს ათეულობით წელი და არაერთი არჩევნები, ხოლო არჩევნებს სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი და რევოლუციები უძღოდა წინ. ჩვენი ქვეყნის ისტორიამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანია არ გულისხმობდა სტაბილური პოლიტიკური რეალობის ლოგიკურ განვითარებას.

ჯონ სტიუარტ მილმა საკუთარი კლასიკა „თავისუფლების შესახებ“ დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ როდესაც ქვეყნები დემოკრატიულები ხდებიან, ადამიანებს სჯერათ, რომ „ზედმეტი მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ ძალაუფლების შეზღუდვას“, „ეს იყო პასუხი მმართველების მიმართ, რომელთა ინტერესებიც ეწინააღმდეგებოდა ხალხისას“, როდესაც

[16] საქართველოს კონსტიტუცია, 2021 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, გვ. 5-6
[17] კელი ი., კრამერი დ., ქვეყანა ზღვარზე: საქართველოს მხარდაჭერისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2021, გვ 30 - 31

ხალხს ეპყრა ძალაუფლება, სიფრთხილე აუცილებელი აღარ იყო: „ერს არ ჭირდება საკუთარი თავისგან თავის დაცვა“.[18]

განვითარებულმა მსოფლიომ გადაწყვიტა, რომ დემოკრატია მართვის საუკეთესო ფორმაა. საქართველოს კი არ უნდა, რომ ჩამორჩეს მსოფლიოს. დიდი ძალისხმევის, სამოქალაქო ომის, რევოლუციის და არაერთი კონფლიქტის შემდგომ, ვირიცხებით მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების სიაში.

და მაინც, რამ მოიტანა დემოკრატია, ხალხის ნების უზენაესობის აღიარებამ, თუ მსოფლიო დემოკრატიულ ქვეყნებთან ღირსეული თანაარსებობის სურვილმა?!

საქართველოში არჩევნების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები განაპირობებს.

1917 წლის ნოემბერში მოწვეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, არაპირდაპირი წესით არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1917 წლის ბოლოს, გაჩნდა იდეა დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი-„დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“. შემუშავებული კანონი, თავისი შინაარსობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უაღრესად პროგრესული იყო. ეს იყო პირველი ნაბიჯები გადადგმული თავისუფლებისა და დემოკრატიზმისკენ. [19]

1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაამტკიცა. 21-ე მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა-თავისუფლად არჩეულ წარმომადგენეთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც

[18] პოლიტიკა და დემოკრატია, თბილისი 2020, გვ 139

[19] პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, თბილისი 2017

უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით“-ამგვარად, ჯერ კიდევ აუღიარებელი სუვერენიტეტის პირობებში, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა პარლამენტის პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 3444002, ხოლო ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 2406742-მა ადამიანმა. „საბჭოთა კავშირი ისტორიას ბარდებოდა“.[20]

და მართლაც, 1991 წელს, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, მაგრამ ცხადია, დემოკრატია ვერ ჩაითვლება დამოუკიდებლობის პირმშოდ, მის მისაღწევად ბევრია სამუშაო.

## 2.2. სამართლიანი და ობიექტური არჩევნები, დემოკრატიის განვითარების ქვაკუთხედი

ისევე, როგორც არ არსებობს სახელმწიფო ცნების იდეალისტური განმარტება ასევე რთულია, დემოკრატიის ცალსახა, ამომწურავი და ზუსტი დახასიათება. ტერმინი იმდენად აბსტრაქტულია, რომ მასზე შეხედულებები არათუ ცალკეულ სახელმწიფოებს, არამედ, მასში მცხოვრებ ინდივიდებსაც განსხვავებული აქვთ.

დემოკრატიის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ მოხდეს სახელმწიფო მართვის სადავეების ერთ კონკრეტულ შტოში თავმოყრა და ამან უკონტროლო სიტუაციამდე არ მიიყვანოს ქვეყანა.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ხელისუფლების დანაწილება ორი მიმართულებით ხორციელდება: ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. პირველი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებად დანაწილებას გულისხმობს, ხოლო მეორე-ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებას.

თანამედროვე სამყაროში, სადაც ცდილობენ დემოკრატიულობაც უმაღლეს სტანდარტებს შეუსაბამონ, ხელისუფლება სამ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და

[20] https://rm.coe.int/journal-final/16809ee2d3

სასამართლო შტოებად გადაანაწილეს. მიზანს მართვისას, ურთიერთკონტოლის საფუძველზე მიღწეული ბალანსი წარმოადგენდა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მეოთხე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, აღნიშნულმა პრინციპმა უნდა უზრუნველყოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილება. მსგავსი ურთიერთკონტროლის პირობებში, შესაძლებელი ხდება ძალების იმგვარად გადანაწილება, რომ მთავარი კონსტიტუციური ღირებულების-ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იყოს გარანტირებული. გარდა ამისა, ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება, შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას უზრუნველყოფს. მართვის შედეგები არის მეტად რაციონალური, კველიფიციური, ობიექტური და მიუკერძოებელი.

მიღების დღიდან საქართველოს კონსტიტუციაში რამდენიმე ათეული ცვლილება შევიდა, თუმცა საარჩევნო სისტემის ან საარჩევნო უფლებების თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე მათგანი. აღსანიშნავია, რომ პირ- ველი ძირეული რეფორმა ქვეყნის მართვის სისტემაში 2004 წელს განხორციელდა, როდესაც საქართველო ამერიკული მოდელის საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ფრანგული მოდელის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაიქმნა.[21] ამ რეფორმით განსხვავებულად განისაზღვრა პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებები, ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტი და შემოღებულ იქნა პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტის მექანიზმი, პარლამენტის დათხოვნის სახით.[22] 2005 წლის 23 თებერვლის ცვლილებით შემცირდა დეპუტატთა რაოდენობა, 2003 წლის 3 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად.[23] კონსტიტუციური კანონით 150 დეპუტატიდან პროპორციული სისტემით აირ- ჩეოდა 100

---

[21] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, მით. ნაშრომი, სქ.11, 2011, 68

[22] იხ. საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი No3272 - სსმI, No2, 07.02.2004წ

[23] ამომრჩეველთა 83,5%-მა დადებითად უპასუხაკითხვას: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატით“. იხ. სამართლებრივი წინააღმდეგობა პარლამენტის რიცხოვნობის ზრდის ირგვლივ, „სივილ ჯორჯია“, თბილისი / 28 ივნ. 11. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=24256 [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 10 მაისს].

წევრი, ხოლო 50 მაჟორიტარული წესით.[24] თუმცა ამ სისტემით პარლამენტის არჩევნები არ ჩატარებულა, 2008 წლის 12 თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებებით საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა პროპორციული სისტემით 75 და მაჟორიტარული სისტემით 75 წევრისაგან.[25] საარჩევნო ბარიერი პროპორციულ არჩევნებში კი 7-იდან 5%-ამდე შემცირდა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი (საკანონმდებლო) არის ქვეყნის უმაღლესი, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ამავე კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის წევრების არჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ხდება.[26]

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, წარმოადგენს პრეზიდენტი და მთავრობა. საქართველოში, პრეზიდენტის მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში მინიმალურია და ის ძირითადად, მთავრობის მიერ ხორციელდება. ხელისუფლების ეს შტო კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე მართავს ქვეყანას და აგრეთვე მონაწილეობს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.

პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას ნდობას უცხადებს საქართველოს პარლამენტი, რის შემდეგაც, პრემიერ-მინისტრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პრემიერ-მინისტრი აკომპლექტებს მთავრობის სხვა წევრებს. საქართველოს პრეზიდენტის არჩევაც საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ხდება, 5 წლის ვადით.

---

[24] მუხლი 49, საქართველოს კონსტიტუცია, 2005 წლის 23 თებერვლის ცვლილებების შემდგომი რედაქციით.

[25] მუხლი 49, საქართველოს კონსტიტუცია, 2008 წლის 12 თებერვლის ცვლილებების შემდგომი რედაქციით.

[26] მუხლი 50 საქართველოს კონსტიტუცია, 2008 წლის 12 თებერვლის ცვლილებების შემდგომი რედაქციით

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, მისი ძირითადი ნიშნებია შემდეგი: ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ, დამოუკიდებლები არიან ხელისუფლების სხვა შტოებისგან, იცავს კანონმდებლობას, კონსტიტუციის ნორმებს, ზედამხედველობს და აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ფაქტია, რომ ქვეყნის მართვის ამგვარი გადანაწილება გამოცდილი და შესაბამისია დემოკრატიის ნორმებთან. ამ ეტაპზე, საქართველოს მაგალითზე, მართვის უფრო მოქნილი და ეფექტური სტილი არ შემუშავებულა.

საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრებს ამომრჩევლები ირჩევენ პირდაპირი არჩევნების გზით.

საარჩევნო სისტემები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებად. მაჟორიტარული სისტემა, თავის მხრივ, ფარდობით და აბსოლუტურ უმრავლესობის სისტემებად იყოფა. პროპორციული კი პრეფერენციულ და პარტიული სიების სისტემად.

გარდა ამისა, არსებობს შერეული საარჩევნო სისტემაც, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ნიშნებს სხვადასხვა ვარიაციებით. თითოეულ ამ სისტემას დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია.

საარჩევნო სისტემების საკვანძო განმასხვავებელი ნიშნებია: საარჩევნო ოლქების მასშტაბი, ბიულეტენის სტრუქტურა, საარჩევნო ბარიერი, პარტიული სიების ტიპი, ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა და ა.შ.

საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი საარჩევნო ფორმულაა, რომელიც განსაზღვრავს მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას.

2020 წლის 29 ივნისს, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რაც ნიშნავს რომ: საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული

პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისაგან.

პროპორციული სისტემა პირველად ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს. ამჟამად, 50 - ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს, მათ შორის ისრაელში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში.

ამ სისტემის გამოყენებისას, საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით აძლევს ხმას ამომრჩეველი და როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; მთელი ქვეყანა ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ დაყოფილია რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად.

აქტიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში ხმის მიცემის უფლება) აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან საარჩევნო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. პასიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან მის შესაბამისად საარჩევნო კოდექსით ან „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.[27]

[27] საქართველოს კონსტიტუცია, 2021 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, მუხლი 24, გვ.26

არჩევნები სახეებია: პირდაპირი; არაპირდაპირი; საყოველთაო; შუალედური; მორიგი; რიგგარეშე; ხელახალი; ერთტურიანი; ორტურიანი; ეროვნული; რეგიონული; ადგილობრივი.

პირდაპირი არჩევნების დროს ხდება ამომრჩეველთა მიერ, უშუალოდ არჩევა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წევრების და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირების. არაპირდაპირი არჩევნებისას კი ამომრჩევლები უშუალოდ ჩართულნი არ არიან, არჩევის საკითხი, მოქალაქეთა მიერ არჩეული - დეპუტატების მიერ წყდება.

საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ქვეყნის ყველა მოქალაქეს (კანონით მინიჭებული უფლების საფუძველზე). საყოველთაო არცევნებს რეგიონის ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებიც მიეკუთვნება.

მორიგ არჩევენებს განსაზღვრავს კონსტუტიცია ან კანონი და რომლისთვისაც ვადებია გაწერილი და რომლის მიზეზიც, შესაბამისი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის ამოწურვაა. რიგგარეშეა არჩევნები, რომელიც აღნიშნულ პირთა ვადამდე ადრე შეწყვეტილი უფლებამოსილების შემთხვევაში ტარდება. თუკი არჩევნები არ შედგა, ან შედეგი ბალითად იქნა ცნობილი, იმართება ხელახალი არჩევნები. ერთტურიანია არჩევნები, რომლის შედეგები აშკარაა და საბოლოო შედეგი ამომრჩეველთა მიერ, ერთჯერადად მიცემული ხმით დგინდება, ხოლო თუკი შედეგის დასადგენად პროცესის განმეორებაა საჭირო, არჩევნები ორ, ან მეტ ტურად იმართება. არჩევნები ეროვნულია, თუკი მისი მასშტაბი მთელს ქვეყანას მოიცავს და იმართება ქვეყნის ხელისუფლების ასარჩევად, ხოლო თუკი მხოლოდ ცალკეულ რეგიონში იმართება, ამას რეგიონული არჩევნები ეწოდება. ადგილობრივი ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებულ არჩევნებს ეწოდება, ადგილობრივი თვითმმართველობის ასარჩევად.

არჩევნების დაკვირვება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მისი ხარისხის გასაუმჯობესაბლად. დამკვირვებლები ხელს უწყობენ საზოგადოების ნდობის ამაღლებას საარჩევნო პროცესის მიმართ. დაკვირვება ხელს უწყობს არჩევნების მონაწილეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პოპულარიზაციასა და დაცვას. აგრეთვე, უზრუნველყოფს შეცდომებისა და სუსტი პრაქტიკის გამოსწორებას, არჩევნების

მიმდინარეობისას. დაკვირვების პროცესი ხელს უშლის მანიპულირებასა და გაყალბებას და უზრუნველყოფს დამკვირვებელთა მხრიდან დადებითი ანგარიშის წარდგენას საზოგადოებისთვის, რაც აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს და არჩევნების შედეგად არჩეული მთავრობების ლეგიტიმურობის გარანტია.

ადგილობრივი ჯგუფების მიერ არჩევნებზე დაკვირვება, ხელს უწყობს სამოქალაქო მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. საბოლოოდ, მათ მიერ გაკეთებული ანალიზი და რეკომენდაციები იწვევს ცვლილებებს და პოლიტიკური რეალობის გაუმჯობესებას.

ეს პრაქტიკა მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური დაძაბულობის დონე მაღალია და ოპონენტები მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში, იზრდება დაპირისპირებების სიხშირე და ხშირად, ეჭვი შეაქვთ დამკვირვებელთა ობიექტურობაში.

გაეროს, ანდა, სხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ, არჩევნებზე დაკვირვება განსაკუთრებით გამოსადეგი იქნება, როდესაც ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს არ აქვთ საკმარისი ძალა ან რესურსი, ეფექტური მონიტორინგის განსახორციელებლად, ანდა, როდესაც ადგილობრივი დამკვირვებლების მიუკერძოებლობის საკითხი ევქვეშაა.

ამასთან, საერთაშორისო დამკვირვებლები, როგორც წესი, ნაკლებად იცნობენ ქვეყნებს, სადაც უწევთ უფლებამოსილების განხორციელება, რაც მიკერძოების შანსებს მკვეთრად ამცირებს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მათ არ აქვთ უფლება, ჩაერიონ საარჩევნო პროცესში, მათ უფლებამოსილებას მხოლოდ დაკვირვება, შეფასება და ანგარიშის წარდგენა წარმოადგენს.

სწორად წარმართულმა დაკვირვების პროცესმა შესაძლოა, ქალთა უფლებების მეტად რეალიზება მოახდინოს და საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობისა და აქტივობის დონე გაზარდოს. სწორად განხორციელებული უფლებამოსილება უნდა მოიცავდეს ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ აისახება საარჩევნო პროცესის ყველა ელემენტი ქალებსა და მამაკაცებზე.

მიზნობრივი სადამკვირვებლო ძალისხმევა შეიძლება ფოკუსირებული იყოს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ასპექტებზე.[28]

[28] https://www.un.org/womenwatch/osagi/wps/publication/Chapter7.htm

დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული მიუკერძოებელი და ნეიტრალური ინსტიტუტები, უზრუნველყოფენ არჩევნების მონიტორინგს, მოსახლეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. დამკვირვებლები ამოწმებენ, თუ რამდენად არის დაცული კანონმდებლობა და შესაბამისი რეგულაციები, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე უშუალოდ არჩევნების ჩატარების დროს და შედეგების შეჯამების ეტაპზე.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები აფასებენ არჩევნებს და გამოსცემენ რეკომენდაციებს, თუ რა შეიძლება გაუმჯობესდეს მომავალში არჩევნების უკეთ ჩასატარებლად.

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში ატარებს ცესკო. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლების-საერთაშორისო დამკვირვებლების მეშვეობით.

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს, ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქამიანობაც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს.

გარდა საერთაშორისო დამკვირვებლებისა, არჩევნების პროცესის მეთვალყურეობის უფლება აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან პროცესზე დასასწრებად და ცესკოს უფლება არ აქვს, დასაბუთების გარეშე, უარი თქვას დამკვირვებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ცესკოს მიერ გაწერილია მთელი რიგი უფლებებისა, რომელიც ენიჭება ადგილზე მყოფ დაინტერესებულ პირებს. იქნება ეს შეუზღუდავი დროით კენჭისყრის ადგილზე ყოფნა, დაკვირვება ნებისმიერი ადგილიდან, საჩივრის დაწერის უფლება თუ დაკვირვება ხმების დათვლისას. ამგვარი უფლებების პირობებში, ფაქტობრივად გამორიცხული უნდა იყოს ხმების არასწორი შეჯამება და არაკეთილსინდისიერი გზით, შედეგების შეცვლა (თუმცა, ასეთები ხდება). დამკვირვებლებს გარდა უფლებებისა, დაწესებული აქვთ აკრძალვები, ესენია: მიუკერძოებლობა, ფინანსური დამოუკიდებლობა საარჩევნო პროცესში მონაწილეთაგან,

საერთაშორისო ნორმების პატივისცემა. მათ არ აქვთ უფლება, ჩაერიონ საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში, გავლენა მოახდინონ ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი, დაარღვიოს ამ კანონის სხვა მოთხოვნები.[29]

საარჩევნო კომისია ვალდებულია, ყველა პირობა შეუქმნას დამკვირვებელს, რათა მან შეძლოს საკუთარი უფლებამოსილების დაუბრკოლებლად განხორციელება.

დამკვირვებელთა მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებაზეა ხშირად დამოკიდებული ჩატარებული არჩევნების სამართლიანობა.

რაც შეეხება საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათი ინტერესი ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესის მსვლელობის ხელშეწყობაში და ამ პროცესში ფასილიტატორის როლის მორგებით გამოიხატება. მათ ჩართულობაზე ბევრია დამოკიდებული, იქნება ეს არჩევნების ღირსეული კამპანია თუ საერთაშორისო არენაზე ამ პროცესის დადებით კონტექსტში განხილვა.

## 2.3. დამოუკიდებელი მედიის როლი და ფუნქცია არჩევნების დროს

მიუხედავად იმისა, რომ მედია USAID-ის მიერ განიხილება, როგორც სამოქალაქო არენის ნაწილი, ცნობილის, რომ მედია მოიცავს დემოკრატიისა და მმართველობის სხვა ფუნქციურ სფეროებს. მაგალითად, მედიის მხარდაჭერამ შესაძლოა შედეგი გამოიღოს მმართველობით საქმიანობაში, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია დეცენტრალიზაციასთან, ანტიკორუფციულობასთან და პოლიტიკის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობასთან. კანონის უზენაესობა შეიძლება ინსტიტუციონალიზდეს დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერით, რომელიც აკონტროლებს სასამართლო სისტემას, ანგარიშებს სასამართლოებზე და ხელს უწყობს პრესის თავისუფლებისთვის შესაფერისი სამართლებრივი გარემოს შექმნას. გამჭვირვალე პროცესებით ჩატარებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მოითხოვს მედიის

[29] https://cesko.ge/geo/list/show/6408-damkvirveblis-uflebebi-5254

ჩართულობას, კანდიდატებისადმი თანაბარ პირობებს მედიაში და ინფორმაციის დროულ და ობიექტურ მიწოდებას საზოგადოებისათვის.

საერთაშორისო კონვენციები ხელს უწყობს USAID – ის მედიის საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე - 19 - ე მუხლი: „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვას, ჩარევების გარეშე და ეძებენ, იღებენ და გადასცემენ ინფორმაციას და იდეებს ნებისმიერი მედიის საშუალებით“. დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერის კონტექსტში, მედიის განვითარების მიზანი უნდა იყოს მედიის ფორმირება მთავრობის ან კერძო ინტერესებით მართული პოზიციიდან ღია, დამოუკიდებელ მედიის პოზიციაშიი, მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკით, რომელიც მხოლოდ ხალხის ინტერესებს ემსახურება.

დემოკრატიის მხარდამჭერი მედია სექტორი იქნება ის, რომელსაც აქვს სარედაქციო დამოუკიდებლობის ხარისხი, არის ფინანსურად სიცოცხლიუნარიანი, მრავალფეროვანი და ემსახურება მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას.[30]

მედია, რომელსაც „მეოთხე ხელისუფლებას“ უწოდებენ, გადამწყვეტ როლს თამაშობს საარჩევნო კამპანიისას. ხვდებით ალბათ, რომ მედიის მიუკერძოებლობა და თავისუფლება, ქვეყანაში დემოკრატიულობის მთავარი კომპონენტია.

მედია ვალდებულია, ინფორმაციის მუდმივი, დროული და ობიექტური მიწოდება უზრუნველყოს მსმენელამდე თუ მკითხველამდე. არჩევნების პროცესში, კანდიდატთა წარდგენას და მათი სამომავლო გეგმების გაჟღერებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათივე წარმატებისთვის. კამპანიის სისწორე, აგიტაცია, დებატები, შეხვედრები მოქალაქეებთან - ამ აქტივობების გაშუქება უნდა ხორციელდებოდეს თანაბარ, მიუკერძოებელ პირობებში. არ უნდა ეთმობოდეს განსხვავებული დრო კანდიდატთა წარდგენას.

წინასაარჩევნო კამპანია, მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხშირად, გაუკონტროლებელი მასალის გავრცელების პერიოდია. კანდიდატები დიდი სიფთხილით

[30] The role of media in democracy: A strategic approach, June 1999, Technical Publication Series

ეკიდებიან თითოეულ სიტყვას და ქმედებას, რაც შეიძლება მათთვის მაკომპრომიტებელ მასალად იქცეს მედიის ხელში და რაც ავტომატურად გამოიწვევს უნდობლობას საზოგადოების მხრიდან.

პოლიტიკური რეკლამა, ხელს უწყობს არჩევნების გამჭირვალედ ჩატარებას, მზადდება ვიდეორგოლები, ბანერები, ბროშურები, რომელიც კანდიდატის მხარდასაჭერად მოუწოდებს მოქალაქეებს. ამიტომ, ბევრს უჩნდება განცდა, რომ მედია იარაღია პოლიტიკოსის ხელში, თუკი ეს უკანასკნელი საკმარისად ჭკვიანი და კეთილგონიერი აღმოჩნდება.

მედიის ფუნქცია მოქალაქეთათვის დროული, მუდმივი და სწორი ინფორმაციის მიწოდებაა. თანამედროვე სამყაროში, როცა სარეკლამო ბილბორდებიც კი მედიად ითვლება, რთულია, არ მოექცე ზეგავლენის ქვეშ. სწორედ საზოგადოების დამოკიდებულების მართვაა მედიის მხრიდან შესაძლებელი, მათ ხომ წარმოუდგენლად დიდი გავლენა აქვთ ცნობიერებაზე. ხშირად, ამით მედია მანიპულირებს. საკმაოდ მასშტაბური და ყოვლისმომცველია ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის. ჩვენ დამოკიდებულები ვართ და გამუდმებით ვადევნებთ თვალყურს სიახლეებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შელამაზებული ან დამახინჯებული მოდის ჩვენამდე და იშვიათად - ობიექტური. ყურადღება, რომელსაც საინფორმაციობისადმი ვიჩენთ, მნიშვნელოვანი სიახლეებისას ათმაგად იზრდება, ასეთია - არჩევნების პროცესიც. მედია ხდება მთავარი მონაწილე და მათ მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე ხდება დამოკიდებული სახელმწიფოს ბედი.

ფასიანი და უფასო რეკლამები, პირდაპირი ჩართვები პროცესის მსვლელობისას, დებატები, პოლიტიკოსთა წარდგენის ფორმა, ამომწურავი ინფორმაცია, დეტალები, ნიუანსები, კომუნიკაცია პოლიტიკოსთა და ამომრჩეველთა შორის, გამოკითხვა, სტატისტიკა, ხარვეზების გაშუქება, უკომპრომისობა , მიუკერძოებლობა - ეს მედიის კომპეტენციაა და ქვეყნის ახალი რელობის წინაშე დადგომის ერთ-ერთი გადამწყვეტი რგოლი.

2003 წელს, „რუსთავი 2“-ის მაუწყებლობა რომ შეეწყვიტათ, რას მივიღებდით შედეგად?! არა რევოლუციას, არამედ - გადატრიალების მცდელობას ათეულობით პატიმრით. ეს იყო ცხადი მაგალითი იმისა, რომ მედიამ მართა ხალხის განწყობა და

პროცესი მიიყვანა შედეგამდე. შედეგამდე, რომელმაც შეცვალა ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი.

დემოკრატია თავისუფალი პრესის გარეშე წარმოუდგენელია.

მედია ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ხალხს არჩევნებისა და პოლიტიკური არჩევანის შესახებ ინფორმაციას აწვდის. მედია უნდა იყოს თავისუფალი იმისთვის, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის კამპანია სამართლიანად გააშუქოს, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია არჩევნებისა და პროცედურების, დარღვევების შესახებ, ასევე დასვას შეკითხვები პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

მედიამ უნდა უზრუნველყოს როგორც ხელისუფლების, ასევე, ოპოზიციური პარტიების ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, შეახსენოს ამომრჩეველს წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება.

## 2.4. ფინანსური გამჭვირვალობა: პარტიათა და პოლიტიკურ სუბიექტთა დაფინანსების საკითხები

ფინანსურ მდგრადობა მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს არჩევნების ლეგიტიმურობაზე და დემოკრატიის ხარისხზე, მმართველობასა და განვითარებაზე. ყველა ქვეყანა, მათ შორის, წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოები, პოლიტიკური დაფინანსების საკითხზე მთელ რიგ პრობლემებს აწყდებიან.

არჩევნების მომზადება და მისი ჯეროვანი ჩატარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის არის ფულადი სახსრები. არჩევნების დაფინანსება ითვალისწინებს ცალკე არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას და ცალკე საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანია უნდა დაფინანსდეს:

ა) პოლიტიკური პარტიის ფონდიდან;

ბ) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გახნილი საარჩევნო ფონდიდან - დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის დასაფინანსებლად;

2. საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი სარგებლობს მისი წარმდგენი სუბიექტის ფონდით.

3. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში გახსნის საფუძველია შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

4. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც დაფინანსდება საარჩევნო კამპანია.

5. საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიისთვის განკუთვნილი და შესაბამის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრების ერთობლიობა, აგრეთვე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება, გარდა კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა.

6. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ, არჩევნების დროს, შესაბამისი საარჩევნო კამპანიის ფონდის სახსრების გარდა, სხვა სახსრების გამოყენება.[31]

საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 24-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად იღებს დაფინანსებას. დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტულ მაჩვენებელზე.

საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე და დაფინანსების წყაროებზე ვრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის ფონდის რესურსებს ქმის:

- შემოწირულობები;
- საწევრო შენატანები;
- სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე

[31] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თბილისი 2020, მუხლი 54

საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას.

შემოწირულობად ითვლება პარტიის ანგარიშზე საქართველოს მოქალაქისა და იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული თანხები. შემოწირულობად ითვლება ასევე, პარტიის მიერ ჩარიცხული თანხები. აგრეთვე, პარტიის მიერ, ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით, ან შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა და მომსახურება. შემომწირველმა უნდა მიუთითოს სახელი, გვერი და პირადი ნომერი. აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური ფორმით შემოწირულობების მიღება კი დაუშვებელია.

## 2.5. დემოკრატიულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებელი საქართველოში, არსებული გამოწვევები

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო აღიარებულია, დემოკრატიული რეფორმების ლიდერ სახელმწიფოდ. განათლების სისტემის, საჯარო სამსახურის, საარჩევნო სისტემისა და სასამართლო რეფორმის და კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, შეძლო ღირსეული ადგილის მოპოვება მსოფლიო პოლიტიკურ ქსელში. პროცესებმა ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანას დაახლოვებოდა „ევროკავშირსა“ და „ნატოს“, მაგრამ ეს ხანგრძლივ ნიშნობას უფრო გავს... 2016 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ხოლო 2017 წელს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიიღო. აქვე, ნუ დავივიწყებთ ფინანსურ წახალისებას მათი მხრიდან.

პრობლემები გამოწვევებად აქციეს და ახლა, მიღწეულის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, მაგალითად: სასამართლო სისტემა; მედიის თავისუფლება; ადამიანის უფლებების დაცვა; ტერიტორიული სუვერენიტეტი და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის სამივე შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და

სასამართლო ხელისუფლებები მეტი გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით იყვნენ საზოგადოების წინაშე.

(UNDP) გაეროს გამჭვირვალობის პროგრამა მიზანმიმართულია მმართველობის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოს პარლამენტში 2020 წლისთვის სრულად პროპორციულ არჩევნებზე გადასასვლელად ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტის ჩავარდნის შემდეგ, საპროტესტო აქციების მოსათხოვნად გამოიკვეთა საქართველოში დღეს მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის ეგრეთწოდებული „გერმანული მოდელის“ მიხედვით მოდიფიცირება. აღნიშნული ინიციატივის საპასუხოდ, მმართველი პარტიიდან აცხადებენ, რომ თითქოს ეს ვარიანტი არ არის თანხვედრაში საქართველოს კონსტიტუციასთან. გვსურს, ხაზგასმით განვმარტოთ, რომ „გერმანული მოდელის“ მოდიფიცირებული ვარიანტი საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება შემდეგი მიზეზების გამო:

კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტი შედგება 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატისგან.

კლასიკური გერმანული მოდელი აგრეთვე ითვალისწინებს მაჟორიტარულ კომპონენტში გამოვლენილი ხმებისა და მანდატების დისპროპორციის კომპენსირებას პროპორციული სიებით, რისთვისაც გამოიყენება საკომპენსაციო მანდატები და არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობა. საქართველოში კონსტიტუცია განსაზღვრავს პარლამენტის შემადგენლობას 150 დეპუტატით. თუმცა, მაჟორიტარულ კომპონენტში გამოვლენილი მანდატების არაპროპორციულობის დაბალანსება შესაძლებელია მანდატების ფიქსირებული ჯამური რაოდენობის პირობებშიც. შესაძლოა, ამ ფაქტორმა გაართულოს მანდატების იდეალური პროპორციით განაწილება, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში „გერმანული მოდელით“

განაწილებული მანდატები უფრო მეტად პროპორციულ და სამართლიან თანაფარდობას მოგვცემს, ვიდრე საქართველოში დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა. [32]

არჩევნები დემოკრატიული მმართველობის ცენტრალური მექანიზმია, რომლის მეშვეობით მოსახლეობა ირჩევს, ვინ წარმოადგენდეს მათ ხელისუფლებაში. თუმცა, დემოკრატიული სისტემაც ნიშნავს ზოგჯერ შეზღუდვებს. მაგალითად, გენდერული თანასწორობა ირღვეოდა ხმის მიცემისას. ნორვეგიაში 1921 წლამდე ქალებს ხმის უფლება არ ქონდათ. საფრანგეთში - 1944 წლამდე, იტალიაში, იაპონიასა და ვენესუელაში 1946 წლამდე, შვეიცარიამ კი განსაკუთრებით დიდხანს ატარა დისკრიმინაციული სტატუსი და ქალები საარჩევნო ურნებთან 1971 წელს მიუშვეს. დისკრიმინაციული გამოვლინებები იყო სხვადასხვა ნიშნით იქნებოდა ეს რასობრივი, სოციალური, წერა - კითხვის უცოდინარნი თუ სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კანონით სავალდებულოა არჩევნებზე გამოცხადება. მაგალითად, ავსტრალიაში თუ არჩევნებზე არ მიხვედი, დაგაჯარიმებენ; საბერძნეთსა და პერუში კი შესაძლებელია სამთავრობო უწყებებმა მომსახურებაზე უარი გითხრან; ასევე საინტერესოა ბრაზილიაც, სადაც ადამიანს, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი და არ მივა არჩევნებზე, არ მისცემენ პასპორტს. იგი პასპორტს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ შემდეგ არჩევნებზე გამოცხადდება. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ხმის მიცემის წამახალისებელი გზები: არჩევნების დღის უქმედ გამოცხადება, ორდღიანი არჩევენების ჩატარება და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში ამომრჩევლის რეგისტრაცია ინდივიდუალური საქმეა, მაშინ, როცა თითქმის ყველა სხვა დემოკრატიული ქვეყანა რეგისტრაციის ტვირთს ხელისუფლებას აკისრებს.[33]

დემოკრატიას ხარისხი აქვს და ის იზომება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ განვითარებად ქვეყნად ვითვლებით და ტრანსფორმაციის ინდექსით, არცისე მოწინავე რიგებში ვართ დემოკრატიულობის კუთხითაც. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ქრონოლოგიურ - ჰარმონიული ნაბიჯებისგან განსხვავებული რეალობა დავინახოთ. უცხოელი კოლეგები, წარმატებული ქვეყნის წარმატებული პოლიტიკოსები გვაკვირდებიან, მითითებებს გვაძლევენ, გვამშვიდებენ, გვეხმარებიან, დროდადრო აღშფოთებასაც გამოთქვამენ, მაგრამ საბოლოოდ ფიქრობენ: „ეს ქვეყანა დიდხანს იქნება განვითარებადი“. ამის პარალელურად,

[32] https://osgf.ge/germanuli-modelis-saarchevno-sistema-saqartvelos-konstitucias-ar-ewinaaghmdegeba/
[33] http://participate.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=43&info_id=1907

ატარებენ კვლევებს, ადგენენ სტატისტიკას და გამოსაფხიზლებლად შემოგვიძახებენ. მაგრამ საქართველო ნელი, არცისე მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს არა იდეალური, არამედ, ზოგადად - დემოკრატიისკენ. განვმეორდები - არ არსებობს იდეალური დემოკრატია. შესაძლებელია, საზოგადოების სწორედ ის უმცირესობაა მეტად ჭკვიანი, რომელთაც ხმები არ ეყოთ წარმომადგენლის ასარჩევად. იქნებ, ხალხი არცისე კარგი მმართველია?! იქნებ, ხალხის რჩეული არცისე რჩეულია?!

დემოკრატიის სახესხვაობები (V-Dem – varieties of democracy) ახალი მიდგომაა, რომელიც კომპლექსური მონაცემების მეშვეობით უზრუნველყოფს ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხის შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. V-Dem განასხვავებს დემოკრატიის მაღალი და საშუალო დონის ინდექსებს და მათ დასადგენად განსაზღვრავს შესაბამის ინდიკატორებს. მათ მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით დგინდება, რომ 1990 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში დემოკრატიულობის ინდექსი უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა.

V-Dem - ის კვლევებს არასასიამოვნო გაგრძელება მოყვა. BTI - ბერთელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსით დგინდება, რომ საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებელი 2020 წელს 2018 წელთან შედარებით, 0.2 ქულით გაუარესდა.

BTI - ს კვლევებს დაეთანხმება მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხის კვლევითი ცენტრი - Economist Intelligence Unit, რომლის ყოველწლიური ანგარიშით დგინდება, რომ ჩვენი ქვეყნის რეიტინგი გაუარესებულია. :დემოკრატიის ინდექსი 2020“ - ში მიმოხილული 165 ქვეყნიდან, საქართველო 91 - ე ადგილზეა. თითოეული ქვეყანა 10 ქულიანი სისტემით ფასდება, საქართველოს კი 2020 წელს 5,31 ქულა მიენიჭა, გასულ წელს ეს მაჩვენებელი 5, 42 იყო.

რა იწვევს დემოკრატიულობის ხარისხის გაუარესებას, სახელმწიფოს ხომ საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ, სამართლიანი არჩევნების გზით არჩეული ხელისუფლება მართავს?! რომ დავკონკრეტდეთ: ქვეყნის ეს მიმართულება ხომ ხალხის არჩეულია?!

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლისათვის ფულადი

სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა  და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით, ერთ წლამდე.

საქართველოში ჩატარებული ბოლო არჩევნებზე დაკვირვებისას, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)" - მა გასცა რეკომენდაციები მომავალში, ამომრჩეველთა შესაძლო მოსწყიდვის თავიდან აცილებისთვის. რეკომენდაციები:

**ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებს:**

- პოლიტიკურმა პარტიებმა არ გამოიყენონ ამომრჩევლებთან ურთიერთობის იმგვარი ფორმა, რაც შეიცავს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნება და საკუთარი საქმიანობა განახორციელონ კეთილსინდისიერად;
- მაჟორიტარობის ოფიციალურად დასახელებულმა კანდიდატებმა თავი შეიკავონ სოციალური დახმარების უშუალოდ გადაცემისგან, რათა არ დაარღვიონ კანონმდებლობის მოთხოვნები და არ შექმნან ამომრჩევლის მოსყიდვის, მის ნებაზე გავლენის განცდა;
- ქველმოქმედების განხორციელებისას, პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაიცვან ანონიმურობა და თანხები შესწირონ იმ ფონდებს, რომლებიც ამ მიმართულებით საქმიანობენ;
- პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატებმა თავი შეიკავონ სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებისგან;
- ხელისუფლებამ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე არ განახორციელოს აქტივისტებზე, პოლიტიკუ ოპონენტებსა და ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებზე ზეწოლა/მუქარა ან/და მათ მიმართ დისკრიმინაცია, არ დაუშვას სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება;

- ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა/კანდიდატებმა და მათმა წარმომადგენლებმა არ განახორციელონ ზეწოლა დამკვირვებლებზე და ხელი არ შეუშალონ სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელებაში.

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:**

- სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დახმარების გაცემისას იმოქმედონკეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და გამორიცხონ ამ პროცესშო მოქალაქეთა დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულებების ან/და პარტიული კუთვნილების საფუძველზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საქმიანობისას უნდა იხელმძღვანელონ ნეიტრალიტეტის პრინციპით, დაუშვებელია სოფლებში მერის წარმომადგენელთა პარტიული საარჩევნო მიზნით გამოყენება და პოლიტიკურად მოტივირებული საკადრო გადაადგილებები;

**რელიგიურ ორგანიზაციებს:**

- რელიგიურმა ორგანიზაციებმა, წირვა - ლოცვისას, არ გამოიყენონ თავიანთი გავლენა მრევლსა და მორწმუნეებზე და არ მიმართონ პოლიტიკურ აგიტაციას, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან/და საწინააღმდეგოდ.

როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ამომრჩეველთა მოსყიდვისა თუ მათზე გავლენის მოხდენისგან თავის შეკავებას ურჩევენ რელიგიურ ორგანიზაციებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამის პრაქტიკა (ვინაიდან, სასულიერო წარმომადგენლებს საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ და მათ შეხედულებებს თვალდახუჭული ენდობა მრევლი) დიდი ხანია არსებობს ჩვენს ქვეყანაში. იქნება ეს პირადი განწყობა/დამოკიდებულება თუ მიკერძოებულობა გარკვეული მიზეზებით, ფაქტია, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, მომავალში რაიმე სახის სარგებლის მიღების განწყობით, ანდა - პირადი რწმენის საფუძველზე, თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ მოქალაქეებს.

ვიმედოვნებ, რომ ეს პრაქტიკა წარსულს ჩაბარდება და სასულიერო პირები გაიხსენებენ, რომ ერთადერთი, ვისი სიტყვაც უნდა იქადაგონ - ღმერთია და არა პოლიტიკოსი.

## 2.6. არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში (საქართველო პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინში)

განვიხილოთ რეფერენდუმი და პლებისციტი. რეფერენდუმი სახალხო გამოკითხვაა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხის გადაჭრისათვის, მის შედეგებს აქვს კანონის ძალა; ხოლო პლებისციტი ამომრჩეველთა აზრის გასაგებად ტარდება და შეიძლება ითქვას, მისი შედეგები უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. ვენეციის კომისიის ანგარიშებიდან:

„საარჩევნო სისტემის არჩევა, სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა და აზრი არა აქვს ერთნაირი საარჩევნო სისტემის ძებნას ევროსაბჭოს ყველა ქვეყნისთვის. საჭიროა, დადგინდეს ბარიერები და ეს ყველა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელი ფორმა და ბარიერის რომელი ზომა შეესაბამება ქვეყანას, მისი ისტორიისა და პარტიული სისტემის გათვალისწინებით, საჭიროა, დამაკმაყოფილებელი ბალანსის პოვნა ორი, პოტენციურად წინააღმდეგობრივ მოთხოვნას შორის, როგორიცაა წარმომადგენლობა და მმართველობა... გასაკუთრებით გარდამავალ პერიოდში და იმ შემთხვევაში, თუ კონფლქტური სიტუაციაა ახალ და ყოფილ ხელისუფლებას შორის.“

საარჩევნო სისტემა და მისი რეფორმა, ყველაზე ცხელი თემაა საქართველოში. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ არჩევანის უფლება, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმირებული არჩევანი.

საარჩევნო სისტემა, ყოველთვის იყო აქტუალური თემა საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძნა, მაშინ, როცა პარლამენტში ჩავარდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხი და დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვის საგანი გახდა. ამავე დროს, არის მოსაზრება, რომ ამომრჩევლისთვის სულერთია, რომელი საარჩევნო სისტემა იქნება და მეტიც, პროპორციული საარჩევნო სისტემის მოთხოვნით ქუჩის აქციებში მონაწილეთა უმრავლესობამ არ იცის რაში მდგომარეობს იგი და არც ის, თუ რატომ უნდა ვითხოვდეთ მას დაჟინებით.[34]

ბოლო პერიოდში, არჩევნებთან დაკავშირებით, ყველაზე ხშირად, სიტყვა „პროპორციულს“ იყენებენ. პროპორციული არჩევნები მაჟორიტარულ და შერეულ

[34] https://www.geocase.ge/ka/publications/57/proporciuli-saarchevno-sistema

სისტემებთან ერთად, ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. განვმარტოთ თითოეული მათგანი. მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში ამომრჩევლებს შეუძლიათ, ბიულეტენში ჩამოთვლით კანდიდატთაგან ხმა მხოლოდ ერთს მისცენ, გამარჯვებულია ის, ვინც მოიპოვებს ხმათა უმრავლესობას. ამ სისტემის მინუსი ის არის, რომ უმცირესობის ხმები იკარგება. მათ მიერ გაკეთებული არჩევანი, შედეგის დადგომაზე გავლენას არ ხდენს. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მსოფლიოს 90–ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში.

**დადებითი მხარეები:**

- ხმის მიცემა მარტივია (ამომრჩეველი კონკრეტულ კანდიდატს აძლევს ხმას);
- მცირეა, არჩეული ორგანოს მრავალფეროვნების ალბათობა;

**უარყოფითი მხარეები:**

- იკარგება უმცირესობათ ხმა;
- მხარდამჭერთა რაოდენობის მიხედვით პირველ ორ ადგილზე გასული პარტიების მანდატების რაოდენობა, შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს მათი რეალური მხარდამჭერების რაოდენობაზე, ანუ შეუსაბამო, თუ ორივე პარტიის მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში;

რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემას, პარტიები კანდიდატების საერთო სიებს ადგენენ. ყოველი ამომრჩეველი ხმას მისთვის მისაღები პარტიის სასარგებლოდ აძლევს. ის პარტია, რომელიც მიღებული ხმების საფუძველზე, კანდონმდებლობით დაწესებულ პროცენტულ ბარიერს გადალახავს, მიღებული ხმების საერთო რაოდენობის პირდაპირპროპორციულად არჩევით ორგანოში ადგილების შესაბამის. რაოდენობას იღებს. შერეული სისტემა კი მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს აერთიანებს, ეს ნიშნავს, რომ ნაწილი პროპორციულით კომპლექტდება, ნაწილი კი - შერეულით. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და პარლამენტის არჩევნები მაჟორიტარული და პროპორციული შერეული საარჩევნო სისტემების გამოყენებით ხორციელდება.

**დადებითი მხარეები:**

- პარტიის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობა, მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია;
- მცირეა „დაკარგული“ ხმების რაოდენობა;
- პარტიას

კანონი - სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, განსაკუთრებული წესით მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს, უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს მშრალი განმარტებაა. მე კი ვთვლი, რომ კანონი ცოცხალი ორგანიზმია და ჰარმონიულია წარსულთან, შერწყმული აწმყოსთან და კოჰაბიტაციური მომავალთან.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებების სიხალე, სისტემის თვალსაზრისით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება. კერძოდ, უკვე არსებულთან შედარებით, 2021 წელს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მეტად პროპორციული იქნება. თვითმმართველ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთსა და ბათუმში თანაფარდობა საკრებულოს წევრებისა იქნება ოთხი ერთზე, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებშ თანაფარდობა იქნება ორი ერთზე. კანონში ცვლილებები ითვალისწინებს ცესკოს წევრთა რაოდენობის, შემადგენლობის და მათი არჩევის წესის, პარტიების მიერ, ცესკო - ს წევრების დანიშვნისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის ხვლილებას. კანონპროექტით წარდგენილია ცესკო - ს თავმჯდომარიოს არჩევის ახალი წესი. საარჩევნო ადმინისტრაცია კი, შერეული სახის იქნება სამივე დონეზე - 8 პროფესიული და 9 პარტიების მხრიდან დანიშნული წევრით. კანონპროექტი ითვალისწინებს, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრის შეზღუდვას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ამკრძალავ ახალ წესს. კანონპროექტში საუბარია კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხების აკრძალვაზე. იცვლება როგორც კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შეჯამების, ასევე, კანონით განსაზღვრულიგასაჩივრების წესი და ვადები.[35]

კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო კოდექსში შემდეგი ცვლილებები შევა:

[35] https://www.interpressnews.ge/ka/article/661805-parlamenti-saarchevno-repormas-da-saarchevno-kodeksshi-dagegmili-cvlilebebis-proektis-ganxilvas-ubrundeba/

დაინერგება ამომრჩეველთა ელექტრონული რეგისტრირება და საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული დათვლის სისტემა;

აიკრძალება უბნის დოკუმენტაციის დალუქვის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შესწორების ოქმის შედგენა;

აიკრძალება საოლქო კომისიების მიერ შესწორების ოქმის შედგენა დოკუმენტაციის გახსნისა და ბიულეტენების გადათვლის გარეშე;

მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა საჩივარი, 73 საარჩევნო ოლქიდან, თითოეულში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლინდება 5 – 5 უბანი, რომელიც გადაითვლება. საერთო ჯამში, არჩევნებზე დაითვლება 365 უბანი, რაც უბნების რაოდენობის 10% - ია;

გაიზრდება საჩივრების შეტანისა და განხილვის ვადები;

შესაძლებელი გახდება სარჩელის ელექტრონული ფორმით შეტანა;

შესაძლებელი იქნება, ცესკოს მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის გასაჩივრება სასამართლოში;

აიკრძალება საარჩევნო უბნებიდან 100 მეტრიან რადიუსში ადამიანთა შეკრება და ამომრჩეველთა აღრიცხვა;

გაფართოვდება იმ საჯარო მოხელეების წრე, ვისაც აეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა;

აიკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის საჯარო მოხელეების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.[36]

ცვლილებები, რომლებიც დროსა და სივრცეში, არსებულ რეალობაში ადაპტირდება და კანონის ცვლილების სახით გვევლინება, არის შეუქცევადი პროცესი. მომავალში, ჩვენ მივიღებთ ასობით ათასი ჩასწორებით კანონებს, რომლებიც მოიტანა გამოცდილებამ, განვითარებამ, უკეთესის მიღწევის სურვილმა.

[36] https://civil.ge/ka/archives/403269

## დასკვნა

მრავალპარტიული, შეჯიბრებითი არჩევნები იმთავითვე გულისხმობს ქვეყნის დემოკრატიულობას. ხოლო თუკი, მოქალაქეთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში სტატისტიკურად მატულობს, დემოკრატიის ნიშნულიც მაღალ დონეზეა. არჩევნები ღია, თავისუფალი, ხოლო ადამიანთა უფლებები დაცული უნდა იყოს. დემოკრატიული მთავრობის რწმენამ და მისთვის გადაჭარბებული სუვერენიტეტის მინიჭებამ, შესაძლოა, უფლებამოსილებების დეცენტრალიზება გამოიწვიოს და როგორც პლატონი მიიჩნევდა - მართვის ამ „კეთილშობილურმა“ ფორმამ, ტირანული მართვია ფორმა - დიქტატურა წარმოშვას.

სამართლიანი არჩევნების შედეგად მიღწეული დემოკრატიის თანამედროვე, თვალსაჩინო მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევა, რობერტ კაგანი, თავის წიგნში „მსოფლიო, რომელიც ამერიკამ შექმნა“ წერს, რომ ამერიკის დაღმასვლის შემთხვევაში, არსებული ინსტიტუტები, ეკონომიკები და იდეალები გაქრება, რაც მსოფლიო უსაფრთხოებას მოუტანს ისეთივე შედეგს, როგორიც რომის იმპერიის დაშლამ და პირველ მსოფლიო ომამდე არსებული ევროპული წესრიგის რღვევამ მოუტანა.[37] (ღმერთო დალოცე ამერიკა, ამის თავიდან ასარიდებლად, ჩვენს ქვეყანას კი ბევრი კაგანის მსგავსი პატრიოტი აჩუქე, ქვეყნის სადიდებლად და მისი ძლევამოსილების სადემონსტრაციოდ). სხვაგვარ დასასრულზე წერს იაპონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგი - ფრენსის ფუკუიამა, თავის ნაშრომში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ ის ამტკიცებს, რომ მთელს მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება კაცობრიობის სოციოკულტურული ევოლუციის ბოლო წერტილი და ადამიანური მმართველობის ბოლო ფორმაა.[38]

ამერიკელი პოლიტოლოგების ანალიზი და დასკვნები რომ შევაჯამოთ, ასეთ შედეგს მივიღებთ: ხალხის მიერ არჩეული ხალხის მიერ ხალხის მართვა, ევოლუციის ციტადელია. უკეთესს, უფრო ჰუმანურს და უფრო მოწესრიგებულს დედამიწელთა რასა ვერაფერს შექმნის.

[37] პოლიტიკა და დემოკრატია, თბილისი 2020, გვ. 377-378
[38] იქვე, გვ. 380

დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტმა საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე, მრავალი სახის მოდიფიკაცია და სახეცვლილება განიცადა. გარდა იურიდიული, პოლიტიკური და სოციალური პრაქტიკისა, ეყრდნობოდა სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესების პრაქტიკას. მსოფლიოს ყველა წამყვანი, დემოკრატიული სახელმწიფო შეთანხმდა: ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს.

იყო მზად ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული გარემოსთვის მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგია და სტანდარტები ჯერ კიდევ ტრიალებდა ატმოსფეროში?! იყო ხალხი იმდენად გონიერი, რომ ერთსულოვნად, დაკვირვებული და ფრთხილი ნაბიჯებით ჩამოშორებოდა მმართველობის გადაგვარებულ ფორმას და სადავეები ხელში აეღოთ?! გარისკვად ნამდვილად ღირდა, რისკმა მოიტანა დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობამ - დემოკრატია. მმართველობის ეს ფორმა, მიუხედავად მისი წარმატებულობისა, დასახვეწი და განსავითარებელია. დემოკრატია არ არის მყარი, უცვლელი ქვეყნის პოზიცია, ეს არის მრავალფეროვანი, საინტერესო და ხშირად, რისკებთან დაკავშირებული პროცესი, რომლის მოდიფიკაციასაც გონიერი, განვითარებული სახელმწიფოები შეძლებენ მხოლოდ.

სამწუხაროდ, დიდია მეზობელი ქვეყნების გავლენა და ჩარევის მცდელობის სურვილი ქართულ პოლიტიკაში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის წინსვლას. და რა შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ დემოკრატიის შეფერხებას?! იმ შემთხვევაში, თუკი, მოკავშირეს ვერ იპოვიდნენ პროცესების შესანელებლად. (სამწუხაროდ, ისტორიული გამოცდილება და აწმყოც ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით, არაკეთილმოსურნე ქვეყნებს დაბრკოლება არ ექნებათ).

როგორია ჩვენი ქვეყნის სამომავლო გეზი? როგორია პერსპექტივები და მომავლის დემოკრატიული საქართველო? ამ მიმართულებით, ნაბიჯები დროთა განმავლობაში მეტად მყარი და გამოკვეთილია:

- IRI - ის მიერი 2020 წლის ზაფხულში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, გამოკითხულ მოქალაქეთა 87% ევროკავშირში გაერთიანების მომხრე იყო.[39]

[39] Alisauskiene, Public Opinion Survey.

საქართველოს მოქალაქეები ამას, პირველ რიგში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობად აფასებენ.[40]

- 2020 წლის არჩევნების შემდეგ, პირველად შეკრებილმა ერთპარტიულმა პარლამენტმა, დაადასტურა სწრაფვა ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობისაკენ და საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ოკუპაციის შეჩერება, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.[41]
- საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის აზრის გათვალისწინების შემთხვევაში (რაც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას გულისხმობს), ჩვენს ქვეყანას ექნება მუდმივი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური მხარდაჭერა, რაც დააჩქარებს მიმდინარე დადებითი პროცესების მსვლელობას.
- უნდა მოხდეს კონსესუსის მიღწევა პოლიტიკურ ოპონენტებს შორის. პარტიები, პოლიტიკოსები და საზოგადოებაც კი, უნდა მივიდეს ერთ დასკვნამდე: მიზანი არის მხოლოდ ერთი - დეოკუპაცია, საქართველოს ტერიროტიული სუვერენიტეტი და რეფორმები ყველა მიმართულებით.

[40] კელი ი., კრამერი დ., ქვეყანა ზღვარზე: საქართველოს მხარდაჭერისთვის, ეკონომიკური პოლიტიკური კვლევის ცენტრი, 2021, გვ. 98.
[41] Foreign Relation Committee, "Resolution of the parliament of Georgia on the foreign Policy of Georgia ", December 30, 2020

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ფ.ფუკუიამა., იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2018;
2. პოლიტიკა და დემოკრატია, თბილისი 2020;
3. ი.კელი., დ.კრამერი., ქვეყანა ზღვარზე: საქართველოს მხარდაჭერისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2021;
4. ა. დემეტრაშვილი., ი. კობახიძე., მით. ნაშრომი, თბილისი 2011;
5. გ.ჟორჟოლიანი., თ.ბერეკაშვილი., მ.მუსხელიშვილი., დემოკრატიზაცია: საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში, დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში, საავტორო უფლება ეკუთვნის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“, თბილისი 2001;
6. მ.მაცაბერიძე., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი 2003;
7. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების გენდერმგრძნობელობა და ქალთა საჭიროებები, მედიის განვითარების ფონდი 2015;
8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავი, სპეციალური გამოცემა, 1948 – 2008
9. Fukuyama F., Identity: Contemporary identity Politics and the Struggle for Recognition, 2018;
10. The role of media in democracy: A strategic approach, June 1999, Technical Publication Series
11. https://www.un.org/womenwatch/osagi/wps/publication/Chapter7.htm?fbclid=IwAR2C-3zn9UydnwjN8R0j-dG0jJjTAUHdxWPJJvLej-nzCaR8oE6Me97IENk
12. Alisauskiene, Public Opinion Survey
13. Foreign Relation Committee, “Resolution of the parliament of Georgia on the foreign Policy of Georgia “, December 30, 2020

14. ფილოსოფოსები დემოკრატიაზე... https://ka.warbletoncouncil.org/mejores-frases-democracia-15678
15. ჩვენ და დემოკრატია https://cvendademokratia.wordpress.com/2017/01/11/
16. Living democracy, განათლება დემოკრატიისათვის https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-1/part-1/unit-1/chapter-1/lesson-2/
17. წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმარტება, დადებითი და უარყოფითი მხარეები https://ja.seagrantsatlantic.org/representative-democracy-definition-pros-cons-4589561-10274
18. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, პირდაპირი დემოკრატია http://dictionary.css.ge/content/direct-democracy
19. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის http://www.electionreforms.ge/res/docs/827.pdf
20. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf
21. არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ჟურნალი N1 https://rm.coe.int/journal-final/16809ee2d3
22. Women & Elections https://www.un.org/womenwatch/osagi/wps/publication/Chapter7.htm
23. Cesko.ge, დამკვირვებლის უფლებები https://cesko.ge/geo/list/show/6408-damkvirveblis-uflebebi-5254
24. „გერმანული მოდელის“ საარჩევნო სისტემა საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება https://osgf.ge/germanuli-modelis-saarchevno-sistema-saqartvelos-konstitucias-ar-ewinaaghmdegeba/
25. პროპორციული საარჩევნო სისტემა - შესაძლებლობები და გამოწვევები https://www.geocase.ge/ka/publications/57/proporciuli-saarchevno-sistema
26. საარჩევნო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები https://www.interpressnews.ge/ka/article/661805-parlamenti-saarchevno-

repormas-da-saarchevno-kodeksshi-dagegmili-cvlilebebis-proektis-ganxilvas-ubrundeba/

**ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია, 2020 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით;
2. საქართველოს კონსტიტუცია, 2005 წლის 23 თებერვლის ცვლილებების შემდგომი რედაქციით;
3. საქართველოს კონსტიტუცია, 2008 წლის 12 თებერვლის ცვლილებების შემდგომი რედაქციით;
4. საქართველოს საარჩევნო კოდექსი